წელიწადი მე-2 | ტელეფონი № 76. | ხუთშაბათი, 15 დეკემბერი

სამშობლო

ფასი 5 კ.

გაზეთის ფასი: წლიურად 9 მან, ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ, დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

განცხადები[illegible] ჩვეულებრივი სტრიქონი [illegible] პეტიტით ღირს 15 კ., [illegible] სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ., ძნ. მიქელაძის სახლებში.

№ 508 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. № 508

დაიწყო ჩვენს გაზეთზე ხელის მოწერა 1917 წლისათვის

გაზეთის ფასი: ერთის წლით 15 მან.
ნახევარი წლით 8 მან.
ერთის თვით 1 50 კაპ.

თვიური ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ თვის პირველიდან.
წლიურ ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ შემოიტანონ ნაწილნაწილათაც: პირველათ 5 მან. ხელის მოწერისათანავე. მეორეთ 5 მან. მარტის გასულს და 5 მანეთიც ივნისის გასულს.

რედაქციის კონტორა ღიაა დილის 8 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 8 საათამდე. რედაქტორის ნახვა შეიძლება დილის 8 საათიდან 11 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თბილისის ქუჩა, სახლი მიქელაძისა.
დეპეშისათვის: ქუთაისი „სამშობლო“.

რედაქტორი — **ი. თ. ცინცაძე.**
გამომცემელი **ამხანაგობა „სამშობლო“.**

18 ამა დეკემბერს, კვირას, შორაპნის მაზრაში. ს. სვერის იოვანნე ნათლის მცემლის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი, აწ განსვენებულის, სამთამადნო ინჟენერის

ვასილ ლენტორის ძის წერეთლის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ მისგან გულდამწვარნი ქრისტეფალნი, დედა მართა ლეონტის ასული, მეუღლე ელისაბედ ვლადიმერის ასული, შვილები ძმა ექიმი აბესალომ ლენტორის ძე მეუღლითურთ, სიმამრი ვლადიმერ ჯიბოს ძე წერეთელი შვილებით და რძლით; სიდედრი, პუპი ლევანის ასული წერეთლისა: წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. პანაშვიდი 12 საათზე.

განცხადება

მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის

კავკასიის უავგუსტოეს მეფის ნაცვლის ნებართვით ჰარასკევს, 16 ამა დეკემბერს **ქ. ქუთაისში ყუდაბებით შეკრებილ იქნება შემოწირულება ამიერ კავკასიის ყრუ-მუნჯთა სამზრუნველოს** ნივთიერ საშუალებათა გასამლიერებლათ.

მიმართავს რა ყველა გულმტკივნეულ ადამიანებს გულითადი თხოვნით, რათა დაეხმარონ ამიერ კავკასიის ყრუ-მუნჯთა ორგანიზაციებს, ქუთაისის ქალთა წრეს მტკიცეთ სწამს, რომ ეს მოწოდება მისი, არ დარჩება უყურადღებოთ არავისაგან.

ყულაბები დარიგდება 15 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე სახელმწიფო ქონებათა სამმართველოში.

ქუთაისის ქალთა წრე.

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი
ორშაბათიდან, 12 დეკემბრიდან
ომის მიმოხილვა მიმდინარე ამბები
ქალი, რომელმაც სიკვდილს თვალებში შეხვდა
დრამა 5 ნაწ. ჩერნოვისა და რადინის მონაწ.
ანტოშამ სიდედრი დააწუნარა კომედია 2 ნაწ. ანტონ ფერტონის მონაწ.
ანონსი: ხუთშაბათიდან, 15 დეკემბრიდან
რუსის ჯარი სალონიკში სამხედრო ნამდვილიდან
უცხო სული
თანამედროვე დრამა 4 ნაწ.
ინგლისური კლიტე სასუმარო

ელექტრო „ამპირ“ თეატრი
ორშაბათიდან, 12 დეკემბრიდან
ომის მიმოხილვა სამხედრო სანახ.
2 სერია
პანნა მერი
მხატ. დრამა 4 ნაწ. გზოვსკაიასი და გაიდაროვის მონაწ.
უბედური მეგობარი სასუმარო
ანონსი: ხუთშაბათიდან, 15 დეკემბრიდან
ქრონიკა გომონი მიმდინარე ამბები
აფთრები (ვამპირები) მე-3 სერია
გაჭიანურებული სიყვარული სასუმარო

გამოვიდა და იყიდება მშვენიერი
ქართული კედლის კალენდარი
ქ. ოცხელის წიგნის მაღაზიის მიერ გამოცემული ქუთაისში
ფასი 4 აბაზი.

ხუთშაბათს, 15 დეკემბერს, საღამოს ექვს საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია დამფუძნებელი

კრება

„დასავლეთ საქართველოს ლიტერატორთა წრისა“.

კრებაზე ყველას შეუძლია დასწრობა.

„სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვების შვილები“.
ქუთაისის გუბერნიის მევენახეობის და მეღვინეობის „კომიტეტის“ საშუალებით შეიძინა საუკეთესო ხარისხის (ინგლისის) დიდძალი პარტია
შაბიამანი და გოგირდი.
შაბიამანის შეძენა შეუძლიათ: სასოფლო ბანკებს, კოოპერატივებს და კერძო მევენახეებს
ქუთაისის გუბერნიის მევენახეობის და მეღვინეობის „კომიტეტის“ მიერ მიცემული მოწმობით, რომელიც საქონლის შეძენისას წარმოდგენილი უნდა იქნეს **სავაჭრო სახლში.** 6—2

ექიმი **ი. ჩარექოვი** ქალაქის საავადმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს. (სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე **გოკიელი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი სნეულებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.
ა-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

ექიმი **ა. დ. მაჭავარიანი** (ყოფილი უფროსი ექიმი სმეცკის გულსუსტებიანთა სანატორიისა) იღებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფებს დილის 8—10 და საღამოს 6—8 საათამდე.
დადიანის ქ. სახლი ჩაჩანიძის (წუღეისკირისეული)

ექიმმა **ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანმა** განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავათმყოფებისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე.
პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101. თ.

ექიმი **მულინი,** ყელის, ცხვირის და ყურების ლებულობს ავადმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა.
თფილისის ქუჩა № 70 სახლი ქაიხოსრო ჯაჯარიძისა.

ოდესის საბებიო კურსებ დამთავრებული
ბებია **ს. ს. ნემსაძისა** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავადმყოფთ რჩევა-დარიგებას. მისამართი: ოლდენბურგის ქუჩა, ბებეჯამვილის სახლები, ფოსტის მახლობლათ.

ბებია **მ. მ. კოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს
ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ვისაც თვალები ტკივა, ან თეთრი აქვს გადაკრული, მიმართეთ ქ. ქუთაისში თეთრ ხიდ გაღმა გოშპიტლის კარებთან ჭკუმვილის სახლში **მიხეილ კაშიას,** რომელმაც მე მომირჩინა ბოვში უპერაციოთ
ვარლამ ხუჯაძე.

მასაჟისა და სახის სამკ კაბინეტი
მარიამ ტ. გალანჩივაძისა.
ვმკურნალ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახალ გამოგონილ წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი, გ. კოსტავას სახლი № 17.

ს.-მ. ბ. მიწის მზომელი ვ. ს. ასათიანი
ადგენს მამულების პლანებს, აწვდის მიწის შეძენის მსურველებს უტყუარ ცნობებს ქართლ-კახეთ-აფხაზეთის ნაყოფიერ და იაფ ადგილ-მამულთა შესახებ. მემამულეთა დავალებით ტიხრავს მამულებს ნაწილ-ნაწილად გასაყიდათ. მისამართი: ქუთაისში, „ჩვ. მეგ.“ რედაქცია; ან პროვიზორ კახიანის აფთიაქის მაღაზია, ქალ. თეატრის პირდაპირ. ჭიათურაში კი შავი ქვის მრეწველ ალ. ხაბულიანთან.

იყიდება **სახლი და მამული**
2 სართულიანი ქვის შენობა ქვის სარდაფით. მიწაა 350 კვ. საჟ. ქუთაისში პუშკინის ქ., № 10. პირობების გასაგებათ მიმართეთ თბილისში მიხეილის ქ. № 113,
ექიმ გოკიელოვს.

საქირაო **ბინა** 3 5 ოთახიანი სასურველია ელექტრონის განათებით და ეზოს შენობებით. მისამართი: სასტუმრო „ფრანცია“, როხ. იაკ. კალნინი.

მსოფლიო ომი.

(პეტ დეპ. სააგ.).

უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისა.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. მდ. ბისტრიცაზე ჩვენმა მზვერავებმა სიმარჯვე გამოიჩინეს სტარი ლისეცის მიდამოებში და ხელთ იგდეს ტყვეები, ვინტოვკები და ხელის ყუმბარები. ტყიან კარპატებში მოლდავიის საზღვარზე, მდ. უსის ჩრდილოეთ მიდამოებში, მოპირდაპირემ რამდენჯერმე ზედი-ზედ შემოგვიტია და ჩვენი აღებული მაღლობები ჰსურდა დაებრუნებინა, იერიშებს წინ უძღოდა ხოლმე მედგარი ქარიშხალისებური ქუხილი ზარბაზნებისა. ჩვენი ჯარი თხრილებამდე მოუშვებდა მოპირდაპირეს, მერე სროლას აუტეხდნენ, ხელის ყუმბარებს უშენდნენ და ჰხოცდნენ! იერიშები მოვიგერიეთ და დიდი ზარალიც მივაყენეთ. აქ ფერდობების სამხრეთი ნაწილი მოკლულებითაა მოფენილი. მთელი დღის განმავლობაში ხელთ ვიგდეთ 8 აფიცერი, 218 ჯარის კაცი, 2 ტყვიისმფრქვეველი და 1 ყუმბარების მტყორცნელი.

კავკასიის ასპარეზზე სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

რუმინეთის ასპარეზი. მდ. კასინის მიდამოებში და ვრაჩეს მთებში მოპირდაპირე წინ სვლასა და იერიშებს განაგრძობდა და ადგილ-ადგილ რუმინელებს უკან ახევინებდა.

11 ქრისტეშობისთვეს დილიდანვე მოპირდაპირე მძიმე და მსუბუქ ზარბაზნებს უშენდა ჩვენს ჯარს ბუზეო-რიმნიკის გზატკეცილის ორივე მხარეს და საკარინიულ ბალენეჩეულის მიდამოებში. განსაკუთრებით ძლიერი სროლა აგვიტეხეს ამ შარაგზის ჩრდილოეთით, რის შემდეგაც იერიშებით წამოვიდნენ და რაკოვიჩენის სამხრეთით მდებარე მაღლობი აიღეს. სამაგიერო იერიშებით ამ ადგილიდან მოპირდაპირე გავდევნეთ, მაგრამ ჩვენი ჯარი ისევ მალე გამოერიდა, რადგანაც მოპირდაპირემ ყუმბარებით გაავსო იქაურობა. მდ. დუნაის მარცხენა ნაპირას მოპირდაპირეს უფრო ცხარე იერიშები მოჰქონდა დროგულის მიდამოებში, მაგრამ მოვიგერიეთ. დობრუჯაში ჩვენმა ჯარმა მარჯვენა ფრთაზე დასტოვა ისაკჩე და ტულჩი, რომლებიც მტერმა დაიპყრო. მარჯვენა ფრთაზე მთელი დღის განმავლობაში ზარბაზნების სროლა იყო ორივე მხრიდან, უფრო მედგარი სროლა წარმოებდა დუნაის მიდამოებში სოფ. გრეჩთან.

12 დეკემბერი.

ლონდონი. (დაგვიანებულია). საფრანგეთში მომქმედ ინგლისის მთავარბანაკის ცნობა. გუშინ გერმანელების ძლიერი რაზმები მოუახლოვდნენ ჩვენს ბანაკს ლანსის პირდაპირ. მხოლოდ რამდენიმე გერმანელი შემოიჭრა ჩვენს სანგრებში, მაგრამ მალე გავდევნეთ და მთელი რაზმიც უკუვაგდეთ. გუშინ მოულოდნელად შევიჭერით არასის ჩრდილოეთით მდებარე მოპირდაპირის სანგრებში და 50 ჯარისკაცი დავატყვევეთ. ზარბაზნების მედგარი სროლა დღესაც გრძელდება სომასა და ანკრს შუა, იპრის მიდამოებში.

ომის დღიური.

აღმოსავლეთის ასპარეზი. მდ. ბისტრიცაზე რუსის მზვერავები მარჯვედ მოქმედებდნენ. ტყიან კარპატებში ავსტრიელებს მთელ დღის განმამავლობაში მედგარი იერიშები მოჰქონდათ, მაგრამ რუსები დიდის ზარალით მუდამ უკან ახევინებდნენ.

კავკასიის ასპარეზი. მდგომარეობა საერთოდ უცვლელია.

რუმინიის ასპარეზი. მდ. კასინისა და ვრაჩეს მთების მიდამოებში გერმანელები შეტევას განაგრძობენ. ბუზეო რიმნიკის გზატკეცილის ორივე მხარეზე გერმანელ ავსტრიელებმა ზარბაზნებს ფრიად ძლიერი სროლა ასტეხეს. მიუხედავად იმისა, რომ რუმინელები მარჯვედ მოქმედებდენ, მაინც იძულებულნი იყვნენ უკან დაეხიათ.

დასავლეთის ასპარეზი. ინგლისელთა ჯარის ბრძოლის პირზე გაძლიერებული საარტილერიო სროლაა.

მრავალჯერ მოხდა საფრენების ბრძოლა მოპირდაპირის 1 საფრენი გავანადგურეთ, 6 დავაზიანეთ და იძულებული გავხადეთ ძირს დაშვებულიყო. ჩვენ 4 საფრენი გვაკლია.

13 დეკემბერი.

ოდესა. რუმინეთიდან მიღებულ ცნობებით, რუმინეთის ასპარეზიდან მაკედონიაში უკვე ნაწილ-ნაწილობით გადაჰყავთ გერმანელებს ჯარი. რაზმის უფროსებად მხოლოდ გერმანელები არიან.

ლონდონი. წუხელ მოულოდნელად დავეცით მტრის სანგრებს იპრის სამხრეთით, ბლეფის მახლობლად მოპირდაპირემ ზარბაზნების ცეცხლის შემდეგ ერთბაშად იერიში მოიტანა და მცირე რამ ზარალი მოგვაყენა.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

ზავის გარშემო

— გერმანეთის სოციალდემოკრატთა ლიდერი შეიდემანი ამ ჟამად გერმანეთის სამეფოებში და სამთავროებში მოგზაურობს და ზავის სასარგებლოდ ჰქადაგებს.

— შეერთებულ შტატების პრეზიდენტს ვილსონს წინათვე ჰქონია გადაწყვეტილი ზავის ჩამოგდებაში შუამავლობის გაწევა.

— პარიზიდან იტყობინებიან, რომ შვეიცარიის ფედერატიულ მთავრობის დესპანს საფრანგეთის მთავრობისთვის გადაუცია ნოტა, რომელითაც იგი შეერთებულ შტატების საზავო წინადადებას ემხრობა.

— პარიზში საფრანგეთის სენატის ფარული კრება მომხდარა, რომელზედაც 194 ხმის უმეტესობით წინაალმდეგ 60 ისა გადაწყდა, რომ საფრანგეთს ზავის ჩამოგდება არ შეუძლიან, ვიდრე მისი მიწაწყალი მტრის ხელშია.

— როგორც ვაშინგტონიდან იუწყებიან, სახელმწიფო მდივანს ლანსინგს უთქვამს: ,,ამერიკელებს პატივს არ სცემს არც ერთი მეომარი მხარე და არც მეორე; მდგომარეობა უარსდება; ჩვენ ახალ ომს ვუახლოვდებითო''.

— ავსტრია-უნგრეთის უმეტეს ნაწილში სამგზავრო მატარებლების მიმოსვლა სრულიად შესწყდა: ამას ბალკანეთიდან სხვა ასპარეზებზე ჯარის გადაზიდვით ხსნიან.

— ერთ გერმანულ გაზეთში საგულისხმო წერილი დაიბეჭდა: ,,ხუთი პრინციპი ზავისა'', სადაც ნათქვამია:

1) ჩვენი მტერი დასავლეთით არის. ინგლისელები და ფრანგები ათ-წლობით ამზადებდნენ დღევანდელს ომს, თუმცა ამზადებდენ უფრო გაზეთების ჭორებით. ჩვენ უფრო უკეთესი აზრისანი ვიყავით ინგლისზე: მათ შესძლეს ჩვენს წინააღმდეგ მთელი ქვეყნიერების ამხედრება, მაგრამ მხოლოდ მელნით ომის მოგონება არ შეიძლება. გერმანეთის ცხრა-მეათედი მოწადინებულია ერთხელ და სამუდამოდ გაუსწორდეს ინგლისსა და საფრანგეთს.

2) მეომარ სახელმწიფოთაგან მხოლოდ ორი ,,გერმანელი ერი'' გერმანეთი და ინგლისია, რომელთაც დაპყრობილი აქვთ უცხოთა მიწა წყალი, გიროს მსგავსად, თუმცა გერმანეთს გაცილებით მეტი ღირებულობის ადგილები უჭირავს, ვიდრე ინგლისის მიერ დაჭერილი ახალშენებია.

3) გერმანეთის მტერი ან მთლად განადგურდეს, ან გერმანეთს უნდა შეურიგდეს, თუ შერიგება ვერ მოხდა მაშინ დასავლეთის წინაღმდეგ ბრძოლაში არავითარ საშუალებას არ მოვერიდებით. ჩვენ გზა უნდა გავიკაფოთ ოკეანისაკენ და რაც კი გზაზე გადაგველობება ყოველისფერს მოვსრესთ.

4) ჩვენ ვადგივართ ბალკანეთის ძველს პრინციპს ,,რაც დაიპყარ შენია''. ყოველ მტკაველ მიწაზე, რასაც ზავზე მოლიპარაკების დროს ჩვენ ხელთ იქნება, მტერი ღირსეულ საფასურს უნდა ჩამოვიდეს. ფრანგებს დღე მუდამ უნდა ჩავჩიჩინოთ, რომ ყოველი დაპყრობილი ადგილი ჩვენ ხელში დარჩება. ბელგიაზე ხომ ლაპარაკიც მეტია საჭიროა ანტვერპენი ლამანშში გასასვლელ გზად. ვინც ბელგიის აღდგენას მოითხოვს, მობრძანდეს და წაგვართვას.

5) ჩვენ უნდა გავაძლიეროთ გერმანეთის იმპერია, მაშასადამე, უნდა გავაძლიეროთ მპერიის დედა-ძარღვი პრუსია.

—,,კიოლნიშე ცაიტუნგ''-ი იტყობინება: გერმანელ სოციალ-დემოკრატიის ბელადმა შეიდემანმა კიოლნში განაცხადა: ,,არასოდეს არ მითქვამს, ვითომ რაც რუსეთს ეკუთვნოდა რუსეთსვე უნდა ეკუთვნოდესო. არსებითად კანცლერის აზრს ვიზიარებ. თუ ჩვენს ზავის პირობებს უარჰყოფენ, უკანასკნელ კაცამდე უნდა ვიბრძოლოთ, რადგან მაინცდამაინც ზავის შეკვრა ჩვენი ქვეყნის სიკვდილს ედარება, თუ ჩვენი მეომრები ბრძოლის ველზე იხდიან თავის მოვალეობას, ჩვენ შრომის ბევრის მოხდით უნდა აღვასრულოთ ჩვენი მოვალეობა''

სამხედრო მოქმედება

აუარებელი გერმანელთა წყალქვეშა უკვე გასულა ატლანტიის ოკეანეში სამოქმედოთ და უცხო სავაჭრო გემების დაღუპვა დაუწყვიათ.

გაკვრით.

მას შემდეგ, რაც ქუთაისში დაარსდა განსაკუთრებული „წრე წმინდა ეროვნულ მიმართულების პირთაგან და თავისი ორგანოც გაიჩინა, აქაური ეგრედ წოდებული „ეროვნული სოციალისტები" არავითარ შემთხვევას არ უშვებენ რომ ათას გვარი ცილი არ დაგვწამონ და უბრალო რამეზე განგაში არ ასტეხონ ხოლმე.. მიზანი მათის მოქმედებისა ცხადია! მათ უნდათ თავისი გაიყვანონ და დააჯერონ ქვეყანა, რომ მხოლოდ და მარტო ისინი არიან ქვეყნის-გულშემატკივარნი..

ღმერთმა ჰქნას ეს ასე იყოს, მაგრამ, ვინც იცის მათი გულისტკივილი და მოქმედება-მუშაობა ის დარწმუნებულიც არის, რომ მათ იმდენად ხალხის კეთილდღეობა არ ამოქმედებთ, რამდენადაც ამოქმედებთ პირადი ჯგუფური ქინიანობა, პირადი ავსულობა და ავ-გულობა!..

ეს რომ ასე არ იყოს, განა საკადრისია ის დაწვრილმანება, ის ტყუილება ის ჩხირკედლობა და ნაცარქექიაობა, ის არა საკადრისი მოპყრობა, რომლითაც გვიმასპინძლდებიან ჩვენ ჩვენი მტერ-მოყვარენი?

ჩვენ არა ერთხელ გაგვიფრთხილებია „სახალხო ფურცლის" რედაქცია ჩვენ შესახებ ტყუილ ცნობებს გაწოდებენ ქუთაისიდანაო, მაგრამ, როგორცა სჩანს ცრუ-პენტელა, თავის ჯგუფის მოამბის, ცრუ და ყალბი ცნობები უფრო სწამთ, ვიდრე განცხადება მთელის ორგანოისა, მთელის წრისა. რას იზავს კაცი! მსგავსი მსგავს ეძებს და მსგავსი მსგავს დაუჭერს მხარს, რასაკვირველია.

სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ პირადი გულის ჭუჭყი საზოგადო გულის ტკივილათ გამოაქვთ და ისეთ რიხს იჩენენ, თითქოს მართლა ქვეყანა და ქვეყნის საქმე აინტერესებდეთ... ასე აჩვენებენ თავს გულ უბრყვილო მკითხველებს, ასე ატყუებენ ახალგაზდობასაც, მაგრამ ვინც მუდამ მათში ტრიალებს, ვინც იცის ისტორია ჩვენებურ ჯგუფების წარმოშობისა, იმან კარგად იცის ისიც, რომ ჩვენთან კინკლაობაში, მაგალითად ქუთათურ „სოციალ ნაციონალისტებს" ერთი მუცლის გვრემა აქვთ, სახელდობრ ის, რომ როგორმე დასცენ ჩვენი გაზეთის სახელი, დაამცირონ მისი ღირებულება და მით თავის დუქანს მუშტარი გაუმრავლონ...

საჯაროდ ვაღიარებთ, რომ პირადად მე, რედაქტორს „სამშობლოისას", სრულიადაც არ მაწუხებს მათი ქამანდები. მე ღრმადა მწამს, რომ დღეს თუ არა ხვალე მაინც „წყალნი წავლენ და წამოვლენ" და მთელი ერი საქართველოისა დაადგება ისევ იმ პოლიტიკურ აზრს, რომელიც გვიქადაგა დიდმა ილიამ, რომელსაც უგალობა არა იმაზე ნაკლებმა დიდმა აკაკიმ, იმ აკაკიმ, რომელიც ჩვენი დასლების თვალსაჩინო ლიდერის თქმისა არ იყოს —,,შეიჭრა ხალხის წიაღში, გამოიტანა აქიდან ნაციონალური ცეცხლი ' და დაანთო იგი გზა აბნეულ ქართველობის გასათბობათა და გაბოროტებულთა გულის გასალხობათ! დიახ, მე ღრმადა მწამს: რომ ფანცი-ფუნცი გაცვდება, ნიღაბი დაიხევა, ორომტრიალი შესწყდება, ქარ-ბუქი, ჩვენი ხალხის დამაბრმავებელი ქარბუქი, ჩადგება და როცა ამოვა მზე ჩვენის ხალხისა, დღევანდელი ძალად მაცხონე ჭინკები ჩვენის დაბრიყვებულის პრესა—ჟურნალ გაზეთებისა, ბზობის ყვავივით დაიხაფრებიან და შეჩვენებულად დარჩებიან., ამიტომ მხოლოდ სასაცილოა როცა რომელიმე ფინია ავზნე ჯგუფისა მთავრეს უყეფს ხოლმე.

ღმერთმაც იცის და კაცმაც, რომ ჩვენ ჩვენის გაზეთით [illegible] არ გამოვსულვართ. ჩვენ მოწაფენი ვართ ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური მოძღვრების და მხოლოდ მის იდეას ვემსახურებით. ჩვენ საშუალება არა გვაქვს ვსთქვათ სავსებით ჩვენი გულის ნადები—ისე, როგორც არ ათქმევინეს ილიას, იმათ, ვინც მადლი მატლად შეუცვალეს და ზნეობრივად მოჰკლეს იგი. ესენი გახლავან წინათობა დღევანდელ ,,სახალხოელებისა''. ამ დღიდან იწყობა მათგან ჩვენი დევნა და დღეს—დავიწყებიათ რა თავისი დანაშაული, ისეთ ვისმეებს გამოუშვებენ ხოლმე ჩვენ წინააღმდეგ—რომლებთანაც კამათი წყალის ნაყვად უნდა ჩაითვალოს მთელი ქართული პრესისა და მწერლობისათვის. ამიტომ არის, რომ ხშირად ხმასაც არა ვცემთ მათ მაგრამ, როცა ისეთი დარბაისელი გაზეთიც კი, როგორც არის ,,საქართველო'', რომელმაც აუცილებლად უნდა იცოდეს ჩვენი ყოფა-მდგომარეობა; უჯერებს ,,სახალხო ფურცლის'' ცრუპენტელა კორესპონდენტს და მის მიერ მოჩმახულ სისულელეს იზიარებს, არ შეგვიძლია ხმა არ ამოვიღოთ.

ამ ორი დღის წინად ,,სახალხო ფურცელი'' სწერდა: ,,რამდენიმე დღეა ,,სამშობლო'' არ გამოსულა, მუშაობა მუშებს შეუჩერებიათ, რადგან სამუშაო ფული არ მიუღიათ. ცნობილი ქველმოქმედი აკაკი ხოშტარია 10.000 მანათს დაჰპირებია ამ გაზეთს.''ო

აქ რამდენი სიტყვაცაა, იმდენი ღვარძლია. ჯერ ერთი ჩვენი გაზეთი შინაურ საქმეებისა გამო მხოლოდ ერთ დღეს (ექვს დეკემბერს) არ გამოსულა (უნდა აწყობილიყო ორშაბათს, ხუთ დეკემბერს). და მეორეც ერთი არავინ არაფერს არ დაგვპირებია. და ,,სახალხო ფურცელი'' მარტო ოხუნჯობს!...

აი ეს ობერ-სისულელე ,,სახალხოს'' მოამბისა ,,საქართველოსაც'' გადაუბეჭდია და ნაღდ საბუთად მიუღია.

საჯაროდ ვაცხადებთ, რომ მართალია ქუთათური ეროვნული წრე ჯერ იმდენად არ მომწიფებულა, რომ ერთის დაკვრით—თავის გაზეთის საქმეების რიგიანად მოწყობით—უცბად ჩააწყვეტინოს ხმა ქუთათურ ჭორიკანებს, მაგრამ იგი კვლავ იარსებებს თავის მოწინააღმდეგეთა სავალალოდ და ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ.

ი—ა.

№ 21 † *)

(„ნომერი ოცდაერთი, ჯვრით").

დრამა ხუთ მოქმედებად

მოქმედება მეორე

I

სცენა: დაბალი, ფართე ოთახი. მარჯვნივ, ფანჯარასთან, დგას საწერი სტოლი. მარცხნივ რამდენიმე შკაფი „საქმეებით". უკანა კედელში, კარების აქეთ-იქით, მიკრულია მარმარილოს დაფები, რომელზედაც ოქროს ასოებით აწერია: **ერთზე**: „190· წ. 12 ოქტომბერი. სამსახურის დროს ვერაგულად მოჰკლეს უნტერ-ოფიცერი პისჩიმუხა. დიდება და სახელი მას!" **მეორეზე** აწერია: „ვახმისტრი სოროკა შინაურ მტრებთან ბრძოლაში დაქანცული, მოკლულ იქმნა ერთგულებისთვის".

სტოლთან ზის როტმისტრი **შპილიევი**. ჯერ ისევ ახალგაზდა, ხმელ ხმელი, შავგრემანი. ჰენსნეს ატარებს, დიდი, შუაზე გაყოფილი შავი წვერები მკერდზე დაჰფენია, თმა მოკლეთ აქვს გაკრეჭილი, ესეც შუაზე გაყოფილი. თვალებს სჭუტავს, მკაცრი გამომეტყველება აქვს.

შპილიევს სტოლზე, მარჯვნივ, რევოლვერი უდევს. ერთ ერთ კუთხეში აუდია ბერდანის ხიშტიანი თოფი, ნახევრად ბნელი ოთახი მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს.

თვით როტმისტრი წარბ-შეკვრით ქაღალდებს ათვალიერებს. გაჯავრებულია. გაიღება კარები და შემოდის ჟანდარმის უნტერი).

II

ჟანდარმი (შუბლზე ხელს მიიდებს, მოწიწებით.) თქვენო მაღალ კეთილშობილებავ!

როტმისტრი (ვითომ ვერ ამჩნევს).

ჟანდარმი (კანკალით) თქვენო მაღალ კეთილშობილებავ!

როტმისტრი. (ყურადღებას არ აქცევს.)

ჟანდარმი. (ხავხავით) თქვენო მაღალ-კეთილშობილებავ!

როტმისტრი. (უცბად შეჰღრიალებს) ღვთის რისხვა! რამდენჯერ მიბრძანებია, დაუკითხავათ ნუ შემოხვალთ მეთქი, თქვე ბრიყვებო, არამზადებო! . სამართალში მიგცემთ, მოგკლავთ... დაგარჩობთ... დაგხვრეტავთ! (წამოიწევს, რევოლვერს ხელს დაავლებს).

ჟანდარმი. (აიწურება) თქვენ ისიც გვიბრძანეთ, თქვენო მაღალ-კეთილშობილებავ, რომ... „როცა ნომერი ოცდა ერთი, ჯვრით" —მოვიდეს,დაუყოვნებლივ მაცნობეთო. ეს არის ახლა გიახლათ ხვრელის გზით და მეც იმიტომ გავბედე აქ შემოსვლა.

როტმისტრი, (ცხარედ) ბევრს ნუ ყბედობ! ჰა? რა სთქვი? ნომერი 21 მოვიდა? აქ არის? მოახსენე მობრძანდეს... მარშ!

ჟანდარმი. ბატონი ხართ, თქვენო მაღალ-კეთილშობილებავ! (შემოტრიალდება და გადის)

როტმისტრი. (წარმოგება, წვერებს ორივე ხელით ჩამოიბერტყს, ბოროტად გაიღიმებს, მაგრამ ისევ შუბლს შეიკრავს და კარებს გაჰყურებს. კარები ფრთხილად გაიღება და შემოდის... **ბერგი.** როტმისტრი სიხარულით მიეგებება, ორივე ხელით ხელს ჩამოართმევს):

—აა! ჩემს ლეონ ბერგს ვახლავარ! გმადლობ მოსვლისთვის... გმადლობ უზომოდ, დაბრძანდით, გეთაყვა, აი სკამი.. აი სავარძელი! დაბრძანდით ჩემო კარგო ჩემო კეთილო, ლეონ ბერგ!

ლეონ ბერგი. (უანგარიშოდ იღიმება, თმებზე ხელს ისვამს, სკამზე შინაურულად ჩამოჯდება.) მაპატიეთ დაგვიანებისათვის .. (საიდუმლო ღიმილით) მოგეხსენებათ, რომ როცა წყალი წმინდაა, თევზების დაჭერა არც ისე ადვილია! (იცინის).

როტმისტრი. ვიცი... მესმის... თქვენ უსაქმოთა და უნაყოფოდ არავის შეწუხება არ გიყვართ (თვალს ჩაუკრავს) იმედია, ახლა კი წყალი ამღვრეულა!

ლეონ ბერგი. თითქმის! თუმცა თქვენი ნახვა უიმისოდაც მომენატრა . ძველი მეგობრები ვართ.

როტმისტრი. (უგუმერად იღიმება) გმადლობთ ყურადღებისთვის. ნათქვამია: „ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასა. ნურცა ძველსა მეგობარსაო"...

ლეონ ბერგი სრულ ჭეშმარიტებას ბრძანებთ.

როტმისტრი. სხვა, ჩემო კარგო, რა იცით ახალი, რა ამბავია ქვეყნად?

ლეონ ბერგი. ბევრი არაფერი!.. დადიან, დაძვრებიან ჯურღმულებში, ქვეყანასაც ატყუებენ და თავის თავსაც...

როტმისტრი. საბრალონი! ნუ თუ ჩვენც გვიპირებენ ყინულზე გაცურებას? მიამბე, გეთაყვა, ვინ ნახე, ვინ გაიცანი? რა მოგველის დღეს... ხვალ და სხვადასხვა... ჩვენც გავერთობით და საქმესაც გავაკეთებთ..

ლეონ ბერგი. რომელი ერთი ჩამოგითვალოთ? ეს ოთხი თვეა მათშა დავტრიალებ .. ათასი მილეთისა და მოქმედების ხალხი გავიცანი... სულელები, ბრიყვები! დარწმუნებულები არიან, რომ ქვეყანას გადააბრუნებენ! პირველია...

როტმისტრი (აწყვეტინებს) ცოტა ხანს მომითმინეთ, გეთაყვა!.. (ვითომ სხვათაშორის მიდის შკაფთან, იღებს ვეებერთელა დავთარს, უკანვე ბრუნდება, შლის, ათვალიერებს.) აბა, განაგრძეთ, ძვირფასო (იღიმება), იქნება ძველ ნაცნობებსაც წავაწყდეთ.

ლეონ ბერგი პირველია (დაცინვით) „ამხანაგი" თევდორე პატრიშვილი...

როტმისტრი. (დავთარს ჰფურცლავს) პატრიშვილი... პატრიშვილი... დიაღ! ჩაწერილია! ბებერი თხუნელა ყოფილა!

ლეონ ბერგი. რომ შეხედოთ, შავორშაბათის ბერიკა გეგონებათ: ყრუჩუნა, ბლუჩუნა, მორგვივით უძრავი, მაგრამ, რაც, ზევით არ დადის, ორი იმოდენა მიწაში დაძვრება! მთელს ჯგუფს ის ატრიალებს...

როტმისტრი. (დავთარში ჩაჰყურებს) მართალს ამბობ, ჩემო ბერგ, მართალს... მაგრამ, ღვთისა და შენის წყალობით, მალე თვის ბოლოკივით ამოვაძრობთ მიწიდან და ახლა ჩვენ დავატრიალებთ ისე, რომ სულ თავსბრუ დაესხას. (იცინის).

ლეონ ბერგი. ეგ გათავებული საქმეა! ხელიდან ველარ წაგვივა. თუმცა თქვენი ამხანაგი როტმისტრი ხრაპი ხუთი წელიწადია დაეძებს და კი ვერსად ნახა. ამას წინად მეხვეწებოდა: ერთი თვალი მაინც დამაკვრევინეო.

როტმისტრი. (წამოიწევს, ხვეწნით) მე... მე არ გამომწირო, ჩემო კეთილო, ჩემო ერგულო ბერგ!

ლეონ ბერგი რა ბრძანებაა! ასე რომ მდომოდა, თქვენთანაც ხომ აღარ მოვიდოდი?.. მე არ მომწონს ბატონი ხრაპი. გაუტანელია, დაუნახავი... ყბედი! ამას წინად ერთად ვვახშმობდით „ედემში" და კინაღამ ხათაბალაში გამხვია...

როტმისტრი დიაღ, საძაგელი ვინმეა ბ-ნი ხრაპი! მფლანგავი, ბაქია, უქნარა! მაგრამ ეშმაკებსაც წაუღიათ იმისი სული და ხორცი!.... განაგრძეთ, ჩემო ლეონ ბერგ, განაგრძეთ!

ლეონ ბერგი მეორე, დიდად საყურადღებო პიროვნება არის „ამხანაგი" ლადო ხოველი. ეს კი სულ სხვა ჯურის ადამიანია: პირდაპირია, ვით შურდული და სწრაფი, ვით ხირიმის ტყვია. ნიჭიერი, განვითარებული, ფაქიზი, მეოცნებე, სწორედ თვალის ჩინია მთელის ჯგუფისა. მე მგონია ასეთი უნდა ყოფილიყო, ფსალმუნთა მთხზველი დავით-მეფე, ან გედეონი, ან სამსონი, სახედარის ყბით რომ ამოსწყვიტა ფილისტიმლიანები... მით უფრო საჭიროა იმის თავიდან მოშორება, თორემ სულ ერთიანად გადარევს ბრმა და უტვინო ბრბოს!

როტმისტრი ლადო ხოველი! (დავთარს ათვალიერებს) მართალს ამბობ, ჩემო კარგო, ლეონ ბერგ!... ჭეშმარიტებას ბრძანებთ, ჩემო კეთილო,! მაგისთანა კაცი თუ ცივ წყალში არ აბანავე, მთელს ქვეყანას ცეცხლს წაუკიდებს!

ლეონ ბერგი. (აწყვეტინებს) ლადო ხოველისაგან ყველაფერია მოსალოდნელი, მაგრამ ყველაზე საზიზღარი და სათოკე მათ შორის არის მესამე „ამხანაგი", ვინმე ირაკლი კოვზირიძე...

როტმისტრი (კვლავ დავთარს შლის) ირაკლი კოვზირიძე? არის!.. აი ყოჩაღ, ჩემო ლეონ ბერგ! კარგი დარანისათვის მიგიგნია?!

ლეონ ბერგი (განაგრძობს) მთელი მოძრაობა ამ ქალაქში მაგ სამ კაცზეა დამოკიდებული. არიან სხვებიც, მაგრამ ისინი მხოლოდ ფეხის ხმას აჰყოლიან და

---

*) იხ. „სამშობლო„ № 505

შეცდომის გასწორება.

პირველ მოქმედებაში, მოქმედთა ჩამოთვლის დროს, ერთი მომქმედთაგანი შეცდომით არის დასახელებული. დაბეჭდილია „თინა გვარატაძე," უნდა იყოს ნინო გვრიტაძე.

საერობო კანონპროექტი და ჩვენი დეპუტატები.

როგორც ვიცით, კავკასიის სამეფის ნაცვლომ უკვე დაამზადა საერობო კანონ პროექტი, რომელსაც მალე სახელმწიფო სათათბიროს წარუდგენს.

პრინციპური საზომით თუ გავზომავთ, ამ კანონპროექტს, რასაკვირველია, ვერ დავჯერდებით: უკეთესი გვირჩევნია. მაგრამ უკვე მიხაილოვსკიმ დაჰგმო ის ზნეობრივი დოგმა, რომელიც ღიარებს: ოღონდ პრინციპი ნუ შეიბღალება და, დეე, თუნდა ქვა ქვაზედაც ნუ იქნებაო. ჩვენ კი დოგმაზე უფრო თვით საქმეს, ცხოვრების აუცილებელ საჭიროებათა კმაყოფას უფრო ვაფასებთ.

განვიხილოთ თუნდა დღევანდელი საქალაქო თვითმართველობა. განა სამართლიანია, რომ მარტო სახლის პატრონებს აქვსთ ცენზი?! ბინის მქირავებელნიც ხომ მოქალაქენი არიან? მაგრამ ამისდა მიუხედავად, ამ თვითმართველობას მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს და არც ერთი გონიერი ადამიანი არ იტყვის, მის თვითმართველობის არარსობა სჯობიაო.

ამას წინეთ ბ. გ. გიორგაძემ წაიკითხა ლექცია იმ საერობო პროექტის შესახებ, რომელიც მეფის ნაცვლის მიერ მოწვეული კრების უმეტესობამ მოიწონა, და მხოლოდ ცუდი მხარეები აღნიშნა, რასაკვირველია. ეს ცალმხრივობაა. ცხადია, დემოკრატიულ ერობაზე არც ჩვენ ვიტყოდით უარს, მისი მოპოება რომ შესაძლებელი ყოფილიყო. და განსხვავება ჩვენსა და ბ ნ გიორგაძეს შორის სურვილში, იდეალში, კი არ არის; არამედ სასურველი იდეალის განმახორციელებელი გზისა, მეთოდის არჩევაში.

მეორე მხრით, არც სათათბიროში გამოჩნდება თითქმის არავინ, რომ ხსენებულ კანონპროექტს მხარი დაუჭიროს, პროგრესისტების ერთი მეთაურთაგანი-რჟევსკი, რომელიც ამ საქმის მომხსენებლად იქნება, როგორც მან აღიარა, წინააღუდგება კანონპროექტს, რომლის განხორციელებაც მისი ფიქრით, ვითომ სომეხთა სამართლიანს ეროვნულ ინტერესებს დასჩაგრავს. მაგრამ, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს მართალი, რომ გვეუბნებოდა: ამ კანონპროექტს იმიტომ ვწუნობთ, რადგან დემოკრატიული არ არისო: ჩვენ ვიცით, რომ თვით პროგრესისტების მიერ შემუშავებული ახალი საერობო კანონპროექტი ჩვენსავე ნაკლებ დემოკრატიულია მეორე მხრით, ვერც იმას დავიჯერებთ, ვითომ ის აწუხებდეს, სომეხთათვის რომ ხელოვნურად საერობო ერთეულები არ გამოვსჭერით უფრო კი, ვფიქრობ ის არის საგულისხმებელი რომ მასა და მის ამხანაგებს ჩვენთვის არც დემოკრატიული ერობა ემეტებათ და არც არადემოკრატიული.

სომეხთა დეპუტატი ხსენებულ კანონპროექტს, ცხადია, მხარს არ დაუჭერს.

ქართველი დეპუტატები კი სოციალ-დემოკრატების ჯგუფში სხედან, ხელფეხი აქვსთ შეკრული და თავისუფალი არ არიან, ისე მოიქცენ, როგორც ჩვენი საჭიროება მოითხოვს. ერთი სიტყვით, ისინი დიდს, საკაცობრიოს, საერთოს, საიმპერიო პოლიტიკას აწარმოებენ და საქ̃თის ეროვნული პოლიტიკისათვის არა სცალიათ: არ შეეფერება მათს მდგომარეობას.

განვიმეორებ: სათათბიროში არავინ იქნება ისეთი, რომ მხარი დაუჭიროს იმ საერობო კანონპროექტს, რომლის განხორციელებაც ჩვენს ქვეყანას უანგარიშო სარგებლობას მოუტანდა.

სამწუხარო არ არის?!

ვასილ წერეთელი.

მკითხველთა საყურადღებოთ.

ჩვეულებრივი ზომის ქაღალდი გამოლევისა გამო, ხვალიდან ჩვენი გაზეთი დროებით გამოვა შემცირებული ზომით, მიღებულია ღონის ძიება, რათა მალე დავუბრუნდეთ ჩვეულებრივ ზომას. „**სამშობლოს**“ გამომც. ამხანაგობა..

ახალი ამბავი.

დღეს შავიქვის საბჭოს დარბაზში სალამოს 7 საათზე დანიშნულია ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა საერთო კრება, რომელზედაც წაკითხულ იქნება მოხსენება „საქონლის ჭირი და მასთან ბრძოლა“.

◆ 18 დეკემბერს ქუთაისის საკრებულოს დარბაზში, დავით კლდიაშვილის სახელობის, საფირჩხიის სამკითხველოს სასარგებლოდ გაიმართება დიდი კონცერტი.

◆ როგორც სარწმუნო წყაროებიდან ვტყობილობთ 1917 წლის, იანვრიდან განზრახული ყოფილა ქაღალდზე ფასის შემცირება.

◆ საქონლის ჭირი ამ ჟამათ ქუთაისის გუბერნიის 50 ალაგას ყოფილა მოდებული. გუბერნიას ჰყავს მხოლოდ 4—5 ბეითალი ამ ჟამათ საჭიროა გაცილებით უფრო მეტი, ამის გამო შუამდგომლობა აღიძრა მეფის ნაცვლის წინაშე, რათა დროებით გადმოყვანილ იქნას განჯისა და ბაქოს გუბერნიებიდან ბეითალთა, სასანიტრო შტატი.

◆ ქუთაისის მაზრის საერობო აგრონომმა ფალავანდიშვილმა მთავრობის აგრონომისაგან წინადადება მიიღო, ის გუთნები (საკკის სისტემის) რომლებიც გასულ დღეებში მიიღო, ფოთიდან, გაუნაწილოს სხვადასხვა საზოგადოებებს და მომმარაგებელ „კოოპარატივებს“ „საპრაკატო“ (გასაქირავებელი) პუნქტების დასაარსებლად.

◆ ქუთაისის საერობო აგრონომიულმა ორგანიზაციამ დაადგინა რაიონულ აგრონომიულ ორგანიზაციებისათვის შეიძინოს მიწების დასამუშავებლად, ცხენები და ხარები.

◆ ქუთაისის საერობო აგრონომიული ორგანიზაციის საჭიროებისათვის გუბერნიის საერობო აგრანომმა ქალაქ ტრაპეზუნდიდან გამოიწერა საუკეთესო ჯიშის დაფნის თესლი, რის მიღებას აგრონომთა ორგანიზაცია ამ დღეებში მოელის.

◆ დასავლეთ საქართველოს მთავრობის აგრონომი ა. მ. ვასილევსკი გუშინ გაემგზავრა ქ. თბილისში კავკასიის საერობო და მთავრობის აგრონომთა თათბირზე დასასწრებლად, რომელიც გასტანს 3—4 დღეს.

◆ ქუთაისის გუბერნიის სამეურნეო აღწერის მასალები რკინის გზის სამხედრო მოძრაობის უფროსის განკარგულების დაგვიანების გამო, ჯერ კიდევ არ გაგზავნილა ქ. პეტროგრადში, მასალები ყოველ მხრივ დამზადებულია გასაგზანათ.

◆ დაჭრილ-დასავათმყოფებული ოფიცრები. უკანასკნელ ხანებში თბილისში ჩამოიყვანეს და № 38 ლაზარეთში მოათავსეს შემდეგი ქართველი დაჭრილი ოფიცრები: პორუჩიკი სევ. თორაძე. პოდპ. გრიგოლ პავლეს ძე კოსტავა, პრაპ. ფ. კ. ჭყონიას. ა. სალუქვაძე და ა. ლ. გურცაია.

◆ საქართველოს სავგზარხოსოს სამღვდელოების სხდომები 12 დეკემბრიდან უკვე დაიწყო ქ. თბილისში, სხდომებში მონაწილეობენ ჯერ-ჯერობით 50 მეტი მღვდელი, თავმჯდომარეთ არჩეულია დეკანოზი ოქროპირიძე.

◆ მომავალ დღესასწაულების გამო კავკასიის სამხედრო მიმოსვლის უფროსმა ნება დართო ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოს რათა დანიშნოს დამატებითი ხუთ ხუთი ვაგონები დასავლეთის რაიონში: ბათომ-ფოთ-თბილისს შუა. აღმოსავლეთის რაიონში: აჯიკაბულ-თბილისამდი. ორ-ორი ვაგონი სამხრეთის რაიონში: ნავთლუღიდან-სარიყამიშამდე და ათ-ათი ვაგონი პეტროვიკიდან ბაქომდე. ამ ვაგონებით უნდა გადაიზიდოს „უნარიადოთ“, მხოლოთ სანოვაგე.

◆ გ. ბრეგაძემ ქუთაისის გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა ნება დართონ განაახლოს გამოცემა გაზეთ „შრომისა“.

გუბერნატ. კანცელარიის ცნობები.

სოფელ გუდეკარში (სენ. მაზრა) 6 დეკემბერს სადამოს 7 საათზე ოთხი შეიარაღებული ავაზაკები სახლში შეუცვივდენ სევასტი ექვთიმეს ძე ჭკუასელს, წაართვეს 600 მანათი ფულად ხოლო, 641 მანეთის სხვა და სხვა ნივთები, აქიდან ,,შეიარეს'' აგრეთვე ხსენებულ პირის სავაჭროში და იქაც „მიიმატეს“ 60 მან. ხოლო საქონელი 200 მანეთის, შემდეგ ბოროტ გამზრახველნი გაემართენ ვლადიმერ ბესარიონის ძე სანაძის სახლისკენ და მასაც წაართვეს სხვა და სხვა სავოჯახო ნივთები 42 მან. მიიმალენ.

— სოფელ აბაშაში (სენ. მაზრა) 6 და 7 დეკემბერს, სოფელ მახათის მცხოვრებთ ცნობილ ყაჩაღებს: გრიგოლ გაბუნიას და ვლადიმერ ძიძიგურს, ხსენებულ სოფელში გაუძარცვეს შემდეგი პირები: კარპეზ ჯალაღანია, პეტრე გოჩოლეიშვილი, ასლან გვილავა, კიმოთე შურუხია, სილიბისტრო ჯანჯღავა, ერისტო სიგუა, მელიტონ კუპრეიშვილი, მარ. ლაპარტყავა, ტასია აგრახამია, ისე ოჩიგავა და მაქსიმე ქოიავა, წაართვეს პირველს 90 მან მეორეს 7 მან. და ნივთები 25 მან. მესამეს 15 მან. მეოთხეს 23 მან. მეხუ-21 მან. მექსეს 42 მან. მეშვიდეს 151 მან. მერვეს 90 მან. მეცხრეს 100 მან. და მეათეს 100 მან. ბოროტ გამზრახველები ვერ დაუპატიმრებიათ.

-- სოფელ ჭალადიდში (ზუგ. მაზრა) 27 ნოემბერს ბოროტ-გამზრახველებმა, კოწია, პილა და ულონ ყურუებს დაუწვეს 3500 კონა სიმინდის ჩალა, ღირებული 300 მან. ძიების შემდეგ პოლიციას ამ საქმის ჩამდენთ უცვნია თეკლათის მცხოვრები დომენტი ბებია, რომელიც დაუპატიმრებია და გადაუცია სასამართლოსათვის.

— ზუგდიდის მაზრის უფროსი ატყობინებს ქუთაისის გუბერნატორს რომ მას დაუპატიმრებია შემდეგი ყაჩაღები: აკაკი მესხი, სილევან და დავით საჭინავები და არჩილ გოგოხია ხსენებულ პირებს ბრალად ედება ზუგდიდის მაზრის სოფლებში მრავალ ადგილას სხვადასხვა გვარ ბოროტმოქმედების ჩადენა.

— სოფელ სეფიეთში (სენ. მაზრა) აღმოუჩენიათ ყაჩაღთა ბრბოს ბინა, ბოქაულს მათ შესაპყრობათ გაუგზავნია დარაჯები, დარაჯებს და უხილავ ყაზაკები აუტეხიათ სროლა და მოუკლავთ ყაჩაღი გრ. გაბუნია ბოლო ვლ. ძიძიგური დაუჭრიათ, მაგრამ [illegible] მოუსწრია გაქცევით თავის შველა.

შეცდომის გასწორება.

გუშინ ქ. შ. წ. კ. გ. ს. წესდების შეცვლაზე დაწერილი სტატიაში, მეოთხე გვერდზე, მოხსენებულია: „შემთხვევით დაკნინებული საქართველო ერთხელაც იქნება აყვირდება“ უნდა იყოს ერთხელაცაა აყვავდება.

† ნინო საყვარელიძე.

ულმობელმა სენმა გუშინ წინ ხელიდან გამოგვაცალა ცნობილი ახალგაზდა მომღერალი ქალი ნინო საყვარელიძე. განსვენებული სწავლობდა ქუთაისის ქალთა გიმნაზიაში, რომლის დასრულების შემდეგ გაემგზავრა მოსკოვში, ხმის დასამუშავებლათ. იქ დაჰყო ორი წელიწადი. მაგრამ ვერ აიტანა რუსეთის მკაცრი ჰავისა და ავათმყოფობის გამო, ისევ თავის სამშობლოში დაბრუნდა. იგი შევიდა თფილისის ფილარმონიულ სკოლაში, რომელიც მშვენიერათ დაასრულა. ეს სკოლა ახალგაზდა მომღერალისათვის მით უფრო მიმზიდველი იყო რომ მან აქ შეისწავლა ქართული სიმღერები რომლებითაც ხშირად ატკბობდა იგი ჩვენს საზოგადოებას. ნინოს სული იმას ოცნებობდა, რომ როდის ეღირსება ქართველებს საკუთარი, ქართული ოპერაო. ნეტავი ამას მეც მოვესწრებოდეო. საუბედუროთ ეს ნატვრა მას არ აუსრულდა. ულმობელმა სენმა უდროოდ მოუღო ბოლო, სიკვდილმა წარიტაცა ნიჭიერი ახალგაზდა მომღერალი ქალი მისი ნატვრითა და ოცნებით. მისი გულის ხსოვნა არ აღმოიფხვრება მათი გონებიდან, ვინც მას იცნობდა.

ვანო იაშვილი.

კავკასიის ქრონიკა.

თბილისი. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წლიური კრება 11 დეკემბერს გაიხსნა გ. ნ. ყაზბეგის თავმჯდომარეობით. თავმჯდომარის წინადადებით კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულ ეკ. ი. სარაჯიშვილისას, ალ. თ. ყიფშიძეს, ირ. ევდოშვილს, ლ. დარჩიაშვილს, თ. დ. ჟორდანიას და ბრძოლის ველზე დახოცილ ჯარის კაცთა ხსოვნას.

კრების მორიგ საგანს შეადგენს განხილვა საზოგადოების 1915 წლის მოქმედება—ანგარიშისა. წაკითხული იქმნა სარევიზიო კომისიის მოხსენება ამ ანგარიშის შესახებ.

— **სოხუმი.** აქაურმა ადმინისტრაციამ მეფის ნაცვლის კანცელარიის წინაშე შუამდგომლობა აღძრა ძალდატანებით

ჯგუფის სახელით ტყვილად ცოდვილობენ. ცხვრის ფარას ყოჩები ასწავლიან გზას, თორემ დაიბნევიან. აი, ის ყოჩები უნდა მოვსპოთ.

როტმისტრი ჭკვიანი კაცი ხარ, ჩემო ბერგ, ჭკვიანი! სხვას რაღას მეტყვი საამოსა და სასიამოვნოს?

ლეონ ბერგი გავიცანი კიდევ ერთი ქალიშვილი, ერთი მშვენიერი ცირა!.. ლამაზია, ვით ცისკრის ვარსკვლავი, განთიადისას რო ამოდის ხოლმე და უმანკოა, ვით მაისის დილის ცვარი! საიდან ჩავარდა მათს წრეში, ან რამ დააბრმავა ასეთი ჭკვიანი გოგონა, რომ იმ სათოკეებს აჰყოლია, მე არ ვიცი. ვიცი მხოლოდ, რომ დღეიდან ის უკვე მე მეკუთვნის და ჩემს ხელში კი ყოვლად უვნებელი იქნება. მე მიყვარს იგი! არა მიყვარს კი არა, უზომოდ მიზიდავს მისი უმანკოება და, იმის ალერსით დატკბობა მწყურია! ეს მეორე თვეა, რაც ვეარშიყები, ვეარშიყები მოხერხებულად, ძალზედაც შევაყვარე თავი, მაგრამ ნებას მაინც ვერ დავიყოლიე. მხოლოდ სამჯერ ვაკოცე და ახლაც ტუჩები მეწვის... არა, ის ჩემი უნდა იყოს... არვის დავუთმობ!

როტმისტრი. ოღონც ამ ქალაქში სიმშვიდე დამამყარებინე და თუნდა ათ სხვა იმისთანა ლამაზ ქალს გიფეშქაშებ. გახსოვს, „არკადიაში“ რომ ქალები გვყავდა?

ლეონ ბერგი (იცინის) მახსოვს... მაგრამ სხეულით მოვაჭრე მზეთ-უნახავი ქალიც კი წუმპეა უმანკოსთან შედარებით!

როტმისტრი ვინ მოგახსენათ, ჩემო კარგო! რომელი ქალწული შეედრება, მარგალითად, თუნდ კნეინა მაშოს? სწორედ კამფეტია, კამფეტი შოკოლადისა?

ლეონ ბერგი მართალია, მაშო ჯეირანივით ატრიალებს მშვენიერ მაყვალა თვალებს და გედივით მოარხევს ხოლმე ყარყარა გულმკერდს, მაგრამ რაკი ფეხმსუბუქია, ასე მგონია მაისის ვარდისთვის ვიღაც უწმინდურს ზედ დაუფურთხებია—მეთქი!

როტმისტრი (ხარხარებს) მაისის ვარდი და ფურთხი! ხა, ხა, ხა!...' რა უცნაური შედარებაა?!..'

ლეონ ბერგი. ღმერთმანი, არ გეხუმრებით! ჩემი განო კი... უმანკოა შვლის ნუკრივით!

როტმისტრი რა ჰქვიან?

ლეონ ბერგი ამხანაგები განოს ეძახიან. თუმცა სხვა სახელი უნდა ერქვას .. ჯერ არ გამომიკითხავს ნამდვილი ვინაობა .. სულ ერთია, მოვესწრობი!..

როტმისტრი განო .. გაიანე! ჩინებული პოეტური სახელია (დავთარს მოიმარჯვებს, ხუმრობით) მაშ, მოდი და ჩავწეროთ აქ ეგ პოეტური სახელიც. (იცინის.)

ლეონ ბერგი. მანდ ჩაწერა იმას არას დააკლებს... გავთოკავთ თუ არა იმ სულელებს, მოვიტაცებ ჩემს განოს და წავიყვან შორს შორს...

როტმისტრი. ბიჭოს, შენ ძალიან მოგდებია სიყვარულის ალები!

ლეონ ბერგი. მე ჯერ არ ვიცი რამდენად მიყვარს, მაგრამ ისეთი თვალები აქვს, ისეთი თვალები, რომ... (დაფიქრდება) განო მაგონებს ჩემს პირველ სიყვარულს, პირველ სატრფოს, რომელიც ერთმა რევოლიუციონერმა გადამირია . . გადაიბირა. გახსოვთ, როგორი გულ მოკლული მოვვარდი თქვენთან,—მაშინ ახალი მოსული იყავით ვარშავაში.—ბევრიც ვეძებეთ, მაგრამ ვეღარას გავხდით; იმ დღიდან არის, რომ სიცოცხლე ტანჯვად გადამექცა და ყოფნა—ვაი-ვაგლახად. იმ დღიდან არის, რომ სულის სიმშვიდე ვეღარ მიპოვნია და გულის იარები ვერაფრით ვერ მომირჩენია, იმ დღიდან არის, რომ გადავწყვიტე ჩავწერილიყავ მათ წრეში და შური მეძია... (მწარედ ჩაფიქრდება.)

როტმისტრი (ესეც ჩაფიქრდება, რაღაც საგონებელს ეძლევა) ეხ! მართლაც ძნელი დასავიწყებელი ყოფილა, ჩემო მეგობარო, დაუკმაყოფილებელი პირველი სიყვარული! მაშინ გულში დავცინოდი შენს ტანჯვას, მაგრამ, როცა მე თითონვე გამოვცადე სატრფოს დაკარგვა, ახლა კი კარგად მესმის შენი გულის ტკივილი.

ლეონ ბერგი (მწარედ გადიხარხარებს) შენც ხომ რევოლიუციონერებმა არ წაგართვეს სატრფო გულისა?

როტმისტრი შავ წყალსაც წაუღია ყველანი, მე კი თვალიდან დავკარგე და!. რუსეთიდან გახარებული მოვეჩქარებოდი, მეგონა ჩემი სიყრმის ამხანაგი ქალი—ჩემი ცხოვრების თანამგზავრიც გახდებოდა, მაგრამ ჩემი თხოვნა შორს დაიჭირა: ფიქრადაც არ მომსვლია შენი მეგობრობაო.

ლეონ ბერგი ახლა სად არის?

როტმისტრი დედმამა დაეხოცა მიჰყიდ-მოჰყიდა რაც რამ ებადა—მდიდარი ვაჭრის ქალი იყო—და სადღაც გადაიკარგა... მას შემდეგ აღარსად შემხვედრია, თუმცა თვალიდან არა მშორდება იმის სახე!.. (დაფიქრდება) ეჰ! დავანებოთ თავი მწარე მოგონებათ, ვინაიდგან დაკარგულ ბედნიერებას ვეღარ დავიბრუნებთ. მომეცი ხელი, ლეონ ბერგ და ჩვენი ფიცის აღსრულებაში ჩავკლათ გულის ბოღმა! (ხელს გაუწვდის).

ლეონ ბერგი (ჩამოართმევს) ოღონდაც, ჩემო მეგობარო, შურის ძიებაღაა ერთადერთი შვება რწმენა დაკარგულისა და გზიდან გადავარდნილი ადამიანისათვის, (კულისებში მოისმის ყრუ ხარხარი, ხმაურობა. კარები გაიღება და შემოდის როტმისტრი **ხრაპი**.)

IV

როტმისტრი ხრაპი

(შვილიევსა და ბერგს) გამარჯვებათ... გამარჯვებათ ყმაწვილებო, მეგობრებო, საყვარლებო! ააა! ამას ვის ვხედავ. ბერგ, ჩემო ძვირფასო ბერგ! სადა გდიხარ კაცო, აქამდე, აგრე უნდა პურ მარილის დაძვირება და დავიწყება? რომ იცოდე, წუხელის გათენებამდე ვიოხრეთ

(უნდა ბერგს მოეხვიოს, აკოცოს, მაგრამ ბერგი მოიშორებს და მარტო ხელს ჩამოართმევს).

ხრაპი (მიუბრუნდება შვილიევს) შენ რაღა თავპირი ჩამოგტირის, გრუზო, კიდევა გლოვობ შენს უკვე გაფრენილ სატრფოს? საქმე გამოგლევია! აქამდე იმდენ რქებს დაგადგამდა, რომ ვეღარც კი გეზიდნა... მოდი, დავივიწყოთ ყველაფერი, შევაფურთხოთ ეშმაკს და ასე ერთობლივ, ძმურად წავიდეთ საქეიფოთ... „ედემში“ ან „არკადიაში“...

პაპიროს უკიდებს, ღიმილით მოუბრუნდება ბერგს) სხვა... როგორაა საქმე ჩემო მეგობარო! ობობა იჭერს ბუზებს, თუ ბუზები იჭერენ ობობას? ჰა!... (შვილიევი მოღრუბლული შეჰყურებს, ბერგიც ამრეზილია, ორივენი სდუმან).

ხრაპი(ხან ერთს შეხედავს, ხან მეორეს)რაენა ჩაგვარდნიათ მეგობრებო! სამუსაიფოთა ხართ შეკრებილი თუ სავაჭროთ? (ბერგს) არ გინდა თითო დიდთმიან გოგრაში ორ ორი შაური მოგცე... უზანთულები... გინდა?

შვილიევი. (მოთმინებიდან გამოვა) მე თქვენა გთხოვთ, ნუ გვიშლით ხელს, ბატონო ხრაპ!

ხრაპი (განცვიფრებით, მე გიშლით ხელს, მე?

შვილიევი. დიახ, თქვენ'...

ხრაპი. არა ხუმრობთ?

შვილიევი. სრულიადაც არა!...

ხრაპი. Наплевать! მე გიშლით ხელს? მე? ჭეშმარიტი მართლმადიდებელი, წმინდა წყალის ადამიანი, ხელს უშლის ურიასა და ქართველს... გესმით, ხალხნო მართლმადიდებელნო!

შვილიევი. (გაცხარებით დაჰკრავს ხელს მაგიდას, დაიღრიალებს) თქვენ სადღაც და თავს ივიწყებთ ბატონო ხრაპ! ხელს ნუ გვიშლით-მეთქი!!.

ხრაპი. (შეკრთება, მოიბღუნძება, ლოთურათ გაიღიმებს) უკაცრავად ბატონო როტმისტრო... მე მინდოდა თქვენი გამხიარულება... მე ხომ საწყენს არას ვამბობ?.. არ გინდივართ?... წავალ... სახუმარი რა მაქვს? (ბარბაცით მივა კარებთან და გასძახებს“-ეი, ბრეხუნოვ ეტლი... ეტლი მომიყვანე!-“ მერე მობრუნდება და გულუბრყვილოთ გადიხარხარებს). ისაქმეთ... ისაქმეთ და, რაც თქვენ თევზები დაიჭიროთ, ნულარ გამიყოფთ... მე კი წავალ ისევ რესტორანში. (მღერის)

V

შვილიევი (კარებისაკენ გადააფურთხებს წამოდგება და გაცხარებით დარბის კუთხიდან კუთხემდე. ბერგი სტოლთან ზის და მწარე ღიმილით შეჰყურებს) მოდი და მაგისთანა კაცს მიანდე რაიმე საქმე! საძაგელი არა, ვის აკვეხის მართმადიდებლობას—, ერთგულებას... ჩვენ —, ქართველებმა, ექვსი საუკუნეთი ადრე მივიღეთ ქრისტიანობა, ოცი საუკუნით ადრე შევქმენით სახელმწიფოებრივი ცხოვრება, ახალა ხომ ჩვენზე ერთგული მოხელე დედამიწის ზურგზე არ მოიპოვება და ეგ... ჩვენ უნდა დაგვცინოდეს!.. ოხ, ოხ! (დარბის, დორბლებსა ჰყრის პირიდან)

ლეონ ბერგი. (მწარე ღიმილით) დამშვიდდით, ჩემო მეგობარო და ნუ დაგავიწყდებათ, რომ ბატონი, მაინც ბატონია!...

შვილიევი. ოხ, ეგ საზიზღარი!...

ლეონ ბერგი (შეპარავის ღიმილით) თქვენ თქვენ თავს გაუფთხილდით ბატონო ჩემო! (წამოდგება) მაგრამ, მგონია, თავი შევაწყინეთ... დროა ჩემის წასვლისა... (როტმისტრი შეჩერდება).

შვილიევი. მიდიხართ?.. მერე საქმე? როდის? სად?

ლეონ ბერგი. არხეინად ბრძანდებოდეთ... ყველაფერს თავის დროზე შეიტყობთ... მართლა, ყველა განყოფილებას, ყველა მსახურს ხომ შეატყობინეთ, რომ ჩემი თქმა, ჩემი პაროლი არის „ნომერი ოცდა ერთი, ჭვრით!“

როტმისტრი. ასეთი განკარგულება

გადაასახლონ სოხუმის ოლქიდან ოსმალეთის ქვეშევრდომები, მათ შორის, ლაზებიც. ამისთვის ერთი როტა ჯარისა უკვე ჩასულა სოხუმში.

— **ფოთი.** 5 დეკემბერს 9 საათის მატარებლის მოსვლის შემდეგ, საღამოთი, მესამე კლასის ბუფეთში ითხოვა ღამის გათევა ვიღაც ფეხ გაფუჭებულმა; ეს თხოვნა დაბალმა სადგურის უფროსმა არ შეიწყნარა და გარედ გამოგდება დაუპირა; ავადმყოფმა მსახური დასჭრა დანით, დაჭრილს მიეშველა საერობო დარაჯი, რომელიც იმავე დანით მოჰკლა; შემდეგ მესამე მიეშველა, ისეც დასჭრა და ბოლოს როგორც იყო შეიპყრეს ავადმყოფი ცალფეხა. ეს უკანასკნელი ყოფილა ჯარის კაცი და ორივე ფეხები დაძრული ჰქონია თოვლისაგან.

— **თელავი.** მომხმარებელ საზოგადოების მაღაზიამ კიდევ მიიღო 300 ფუთი ყველი. ამ 2—3 წლის წინათ თელავში უნდა დაარსებულ იყო საურთიერთო ნდობის საზოგადოება, დამტკიცებული წესდება მიიღეს, საწევრო ფულიც შეკრიბეს, არჩევნებიც კი მოხდა, უნდა დაეწყოთ საქმე, რომ ომმა უსწრო და დროებით შეფერხდა. როგორც ახლა გადმოვქცეს, საქმის მეთაურებს განუზრახავთ მოქმედების დაწყება თითქმის ყველა პროვინციის ქალაქებში არსებობს ასეთი საზოგადოება და თელავში უფრო მეტ საჭიროებას შეადგენს მისი გახსნა.

— **ჩოხატაურში** შაქრის კრიზისი გრძელდება. ადგილობრივმა კოოპერატივმა ამას წინად ერთი ვაგონი ფქვილი მიიღო, მაგრამ ამ დღეებში უკვე გამოილია და მომავალში რა მოგველის, რა იქნება, არ ვიცით. აქვე აღსანიშნავია, რომ ზოგიერთა ვაჭარი დილით ადრე გამოდის ბაზარში, იტაცებს სანოვაგეს და შემდეგ მამასისხლად ჰყიდის მცხოვრებლებზე. საჭიროა ამ მოვლენას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს, რომ ნება არ ჰქონდეთ ჩარჩებს 12 საათამდე სანოვაგე იყიდონ.

— **დ. სამტრედია.** საზოგადო საკრებულოს საამშენებლო კომისიამ შენობა სათეატრო ზალითურთ უკვე დაამთავრა. შენობა მოზდილია, ზალა გამოანგარიშებულია 400 მსმენელთათვის, გარდა ლოჟეებისა და ოთახებისა. შენობა დაახლოვებით დაჯდა 20,000 მანეთი. ი. სტურუამ დეკორაციების დასახატავად თბილისიდან ჩამოიყვანა გამოცდილი დეკორატორი. შენობა აგებულია ძმ. სიხარულიძეების მიწაზე, რომელი ადგილიც საზოგადოებას ხუთი წლის განმავლობაში უფასოდ დაუთმეს.

პროვინციის ცხოვრება.

სოფ. ზედა საყულია. 14 ნოემბერს ოფშკვითის მომხმარებელ საზოგადოების „გლეხის" გამგეობამ დაადგინა: 1) გახსნას საბაკალეო დუქანი ოფიშკვითში და მისი განყოფილება ზედა საყულიასა და მუხიანაში. 2, გაეგზავნოს კავშირს საწევრო გადასახადი და გამოწერილი იქმნას საჭირო საქონელი მისი საშუალებით. 3, საზოგადოების წევრთ მიაწოდოს ყველა ის ნივთები, რასაც შეიძენს ამ რაიონის განმანაწილებელი პუნქტი; მაგალითად: სათესლე კარტოფილი და ხახვი, სიმინდი, მარილი, შაბიამანი და გოგირდი. 4, დუქნებში ვაჭრობა უნდა წარმოებდეს ნაღდზე. 5, მიექცეს დიდი ყურადღება წევრთა რიცხვის გამრავლებას, ოპერაციის გაფართოვებას და ანგარიშის რიგიანად წარმოებას.

სოფ. ხიდისთავი. (გურია) ადგილობრივ მკვიდრთა ხარჯით უკვე გაიხსნა უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებელი; როგორც გადმოგვცეს ინსპექტორად დაუნიშნავთ ხონის გიმნაზიის მასწავლებელი ბ. ცაგარეიშვილი.

სოფ. შინდისი. (ქართლი) აქ კოოპერატივის საქმე ჯერჯერობით კარგად მიდის. წევრები ნელ-ნელა ემატებიან. ძალიან ხელის შემშლელია ის გარემოება, რომ წინად რამდენჯერმე უცდიათ საამხანაგო დუქანი, მაგრამ გაუფლანგიათ.

აქეთ ბავშვების ავათმყოფობაა გავრცელებული. თოვს.

სოფ წალენჯიხა. (ზუგდ. მაზრა) ყველასათვის ცხადია, რომ საშინელ ომისაგან გამოწვეულმა სიძვირემ ჩვენში კოოპერატიული მოძრაობა ჩქარი ნაბიჯით წაიყვანა წინ და ახლა ამ კუთხეში იშვიათია ისეთი სოფელი, სადაც კოოპერატიული საზოგადოება არ არსებობდეს. სამწუხაროდ ზოგიერთ მომხმარებელ საზოგადოებას მოთავე არ ჰყავს. მაგალითად ავიღოთ წალენჯიხის მომხმარებელი საზოგადოება „სინათლე". ეს, საზოგადოება ცხრა თვეა, რაც დაარსდა და მას აწარმოებდა მხოლოდ გამგეობის თავმჯდომარე მარტოდ და კოლეგიურ მუშაობას სხვებთან ერთად გაურბოდა.

საჩხერე დაბა წინა ხანებში ჩამორჩენილი იყო კულტურულად. ამ ახლო დროში ჟურნალ გაზეთების გავრცელების საქმე მოეწყო, მოეწყო აგენტურა, მაგრამ შემდეგ ბევრმა ნისიამ საქმე წაახდინა. აგენტურას ვალი არ გაუსწორეს და გაზეთის გავრცელების საქმე ისევ შეფერხდა.

ჩოხატაური. 27 ნოემბერს მოხდა კრება: კრებამ გადაწყვიტა: დაარსდეს ამხანაგობა, რომელიც შეიძენს ავტომობილებს და მით დააწყევენ თავს მეეტლების თვითნებობას. ამ საქმის მოსაწყობათ არჩეული იქმნა კომისია. ამ კომისიაში შევიდნენ: ადგილობრივი ბოქაული ბ. ჩიკვაიძე, გრიგორ თავდგირიძე მღ. თ. მეგრელიშვილი, პავლე ცინცაძე და კალისტრატე ბერძენიშვილი. იმედია ამ საქმეს გულცივათ არ შეხვდება საზოგადოება, შეიძლება აწი მაინც მოეღოს ბოლო მეეტლეთა თავგასულობას.

რუსეთი

მოსკოვის გაზეთები შემდეგს გადმოგვცემენ; როდესაც გრაფ ბობრინსკის მიერ სათათბიროში წარმოთქმულ სიტყვით პროტოპოპოვმა შეურაცხყოფილად ჩასთვალა თავი და ამბობდნენ კიდევაც, მათ შორის დუელი მოხდებაო. ამის შემდეგ ბობრინსკის პირადათ გაუგზავნია წერილი პროტოპოპოვისთვის:

„სათათბიროში წარმოთქმული თქვენი სიტყვები მოწმობენ, რომ თქვენ მეფის სურვილის ბრმა აღმსრულებლად სთვლით თქვენ თავს. ჩემის აზრით შინაგან საქმეთა მინისტრს არავითარი შემთხვევაში ეს არ შეეფერება, თუ იგი რწმენით ემსახურება მეფეს და არა შიშის გამოისობით. მეფისა და სამშობლოს ერთგული შვილნი ხელმწიფეს შიშველ სიმართლეს ჰკადრებენ ხოლმე, თუმცა ამისათვის ხანდახან მეფის წყრომა მოსალოდნელია მათთვის. მათ ყოველთვის ახსოვთ, რომ ისინი ბრმა იარაღები კი არ არიან, არამედ მეფის სურვილის შეგნებულად აღმსრულებელნი. ამიტომ ისინი თავის თავზე იღებენ მთელ პასუხისმგებლობას და მეფის სახელს არ ეფარებიან. სწორედ ამ აზრით უნდა გაიგოთ ჩემი სიტყვები, რომ მეფეს უნდა ერთგული მსახურნი და არა ყმები. მე არ მინდოდა თქვენი შეურაცხყოფა, მე მხოლოდ მინდოდა თქვენთვის შემეგნებინა, რომ შტიურმერის კაბინეტში შესვლით თქვენ საბედისწერო შეცდომა დაუშვით."

ასე ათავებს გრ. ბობრინსკი თავის წერილს.

— კიევის ბაზარზე უკვე გაჩენილა ამერიკიდან გამოწერილი ფეხსაცმელი; ქალისა ფასობს 14 მანეთად, ხოლო ბავშვისა—9 მანეთად.

— ფინანსთა მინისტრს ბარკს გადაწყვეტილი აქვს ამ მოკლე ხანში 2000 ახალი შემნახველ-გამსესხებელი კასები გახსნას.

— ტრეპოვი მეფის ბანაკში გამგზავრებულა.

— სასურსათო საქმეს რუსეთში ვერარც რიტტიხმა უშველა. ის დეპუტატები, რომელნიც სასურსათო საბჭოში მონაწილეობას იღებენ, განცვიფრებულნი არიან იმით, რომ უკვე ორი კვირა იქნება, რაც რიტტიხს კრება არ მოუწვევია. პირიქით იგი ისეთს ღონისძიებებს ღებულობს, რომელნიც არსებითად ეწინააღმდეგებიან წინა კრებების დადგენილებებს.

უცხოეთი.

მძიმე ავადმყოფი გამხდარა იაპონიის ცნობილი ადმირალი, რუსეთ იაპონიის ომის გმირი, ტოგო.

— ბელგეთის 9 პროვინციიდან რვას კონტრიბუციის გადახდაზე უარი უთქვამს.

— როგორც ვუწყით, ატლანტიის ოკეანიის განმარტოვებულ კუნძულ ისლანდიის მცხოვრებნი ავტონომიურ უფლებებით სარგებლობენ. იქაურ პარლამენტში ეხლახან არჩევნები მომხდარა; სულ ასარჩევი ყოფილა 41 წარმომადგენელი; გამარჯვება ავტონომისტებს დარჩენიათ და 15 კაცი გაუყვანიათ.

— როგორც შვეციიდან იტყობინებიან, პოლონეთის ეროვნულ ლაშქარის შესვლას ვარშავაში თავ შეკავებულნი შეხვდნენ ადგილობრივი პოლონელნი.

— გერმანეთში წელსაც როგორც შარშან გადაუწყვეტიათ ახალი წელი არ იდღესასწაულონ.

— ავსტრო-უნგრეთის ახალი პრემიერი კლამ-მარტინაცი დაჟინებით ატარებს ცხოვრებაში მადიართა (უნგრელთა) გავლენის შესუსტების პოლიტიკას. მისი პროექტის თანახმად ავსტრო-უნგრეთი ორმაგ სახელმწიფოდან სამმაგ სახელმწიფოდ იქნება გადაქცეული.

რედაქტორი ი. ცინცაძე.
გამომცემელი ამხან. „სამშობლო"

რკინის გზის [illegible]

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	— დილის —	7 ს. 25 წ
„	— საღამ. —	8 ს. 50 „
ბათომიდან	— დღისით —	12 ს 40 „
„	— ღამის —	2 ს. 20 „
ფოთიდან	— დილის —	10 ს. 26 „
ტყიბულიდან	—საღამოს —	7 ს. 00 „
შორაპნიდან	— დილის —	9 ს 24 „

ქ. ქუთაისიდან გადის

თფილისისაკენ	—დილის —	11 ს — „
„	— ღამის —	12 ს. 15 „
ბათომისაკენ	— საღამოს —	7 ს. 3 „
„	— დილის —	5 ს 55 „
ფოთისაკენ	— დღისით —	4 ს. „
ტყიბულისკენ	— დილის —	8 ს. 13 „
შორაპნისაკენ	—დღით —	5 ს. 18 „

გამოცდილი სტუდენტი ამზადებს მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. ჰყავს ჯგუფი საფიცრო მოწაფეებისა I და II ხარისხ. იყვანს პირობით. მისამართი: თფილისის ქ. № 35 მიქელაძის სახლებში, მეორე სართულზე, გაზ. „სამშობლო"ს რედაქციის ზევით. მიღება 9—12 ს. და 3—6 ს. საღ. მასწავლებელი ა. ზ. თელ.
ტელეფონი № 183.

ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡᲐ
ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡ ᲫᲔ ᲜᲐᲖᲐᲠᲝᲕᲘ.
ღებულობს ბავშთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფებს მუდამ დღე, მხოლოდ დილის ათი საათიდან თორმეტამდე.
გენერლის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიდი ხანია მოვახდინეთ, მთელს იმპერიაში ბუზსაც ვერავინ აგიფრენთ.

ლეონ ბერგი. გმადლობთ, ჩემო ბატონო! ნება მიბოძეთ ისევ ხვრელის გზით წავიდე, თორემ შეიძლება ამხანაგებმა შემამჩნიონ... მოსყიდული მეთვალყურეები ისეთი ყოჩაღები არ არიან, როგორი ერთგულებიც არიან იდეური მეთვალ-ყურენი!... თითოეულ მათგანს ცხრა თვალი აქვს და ცხრა ყური, მარტო ერთი ირაკლი კოვზირიძე რად ღირს? იმ ეშმაკის კერძს სწორედ ძაღლის ყნოსვა აქვს და ჭინკის წინაგრძნობა! ასე გასინჯეთ, ჩემშიაც კი ეჭვი შემოიტანა! ყველა დავაბრმავე, ყველა მოვხიბლე და დავაყრუე, ყველა ჩემი ყურმოჭრილი მონაა და ის კი ქვეშ-ქვეშ მიბღვერის! (თავისდაუნებურად ფანჯარასთან მივა, ოდნავ ფარდას გადახდის, მერე თოფნაკრავივით უკან გამობრუნდება და ხავხავით.) ხომ გითხარით ძაღლის ყნოსვა აქვს მეთქი! ის წყეული კოვზირიძე აკი ქუჩაში არა დგას?! სახლის კუთხეს ამოჰფარებია და აქეთ იყურება. ალბად გრძნობს, რომ მე აქა ვარ!

როტმისტრი. (განცვიფრებული) ქუჩაში დგას, აქეთ იყურება? (მივა ფანჯარასთან და ფრთხილად გაიხედავს) ეგ არის კოვზირიძე? ახლავე უნდა დავაჭერინო! (კარებისაკენ გასწევს და გასძახებს: ეი! ბრეხუნოვ!

ბერგი. სსუუ! მოითმინეთ... საქმეს წაახდენთ! მაგას ახლა ვერავინ დაიჭერს და დანარჩენებიც ხელიდან წაგივათ (კვლავ მორიდებით ფანჯარაში გაიხედავს) წასულა! იქ აღარ არის!..

როტმისტრი. (კბილების კრაჭუნით) მაშ, თავს უშველა?

ლ. ბერგი ეგ ისეთი ქასქანჯიელია, რომ კიდევ ბევრჯელ წაგივათ ხელიდან, თუ ისევ მე არ გავაბაწრე!.. მაგრამ ლაპარაკის დრო აღარ არის. ახლავე უნდა წავიდე დანიშნულ ადგილას დავხვდე და პირველმა მე ვუსიყვედურო დაგვიანება, თორემ ეჭვს აიღებს... ოხ ეგ წყეული... დახე სად მიყელა?

როტმისტრი. შავქვასაც ვერას გახდება. (ზარს აწკარუნებს) (შემოდის უნტერი.) აანთე სანთელი და ეს ყმაწვილი ხვრელის გზით გააცილე. ფრთხილად იყავი, ქვედა სართულში ნაპერწკალი არ გადაგივარდეს, დაბრუნებისას პაპიროსი არ მოსწიო, თორემ მოგკლავ, დაგხვრეტავ, დაგარჩობ!... კარები კარგა მიხურე, ჩასავალი ღია არ დაგრჩეს. გესმის?

ჟანდარმი. მესმის, თქვენო მაღალკეთილშობილებავ. (გადის)

ლეონ ბერგი. (ხელს გაუწოდებს) ნახვამდის!

როტმისტრი. ნახვამდის, ჩემო კარგო. (ბერგი გადის)

VI

როტმისტრი. (სტოლს მოუჯდება) არამზადა ხრაპი .. ერთგული ბერგი! (ზარს დარეკს) (კარები სწრაფლად გაიღება და შემოდის სხვა უნტერი.) (გამოეჭიმება)

როტმისტრი. (დაუყვირებს) ნელა ვერ შემოხვალ, შე მხეცო! ბოსელში ხომ არა ხარ გაზდილი! მე თქვენი უფროსი ვარ და არა თქვენი ტოლი! მოგკლავთ, დაგარჩობთ, დაგხვრეტავთ! გესმის? გესმის-მეთქი?!

ჟანდარმი. მესმის, თქვენო მაღალ-კეთილშობილებავ!

როტმისტრი. ხმა ჩაიწყვიტე! მუშტს დაჰკრავს სტოლზე)

ჟანდარმი. (ქვედა ტუჩს აცახცახებს, თვალებს ახამხამებს).

როტმისტრი. (როდის-როდის) ვახმისტრს დამიძახე. მარშ!

ჟანდარმი. (ფიცარივით გაშეშებული შემოტრიალდება და ფეხ-აკრეფით გადის).

VII

როტმისტრი. ისევ წამოდგება, დაფიქრებული ბოლთასა სცემს, წვერებს იგრეხავს. ცოტა ხანს უკან მივა მაგიდასთან, ზარას სამჯერ დარეკეს. შემოდის ვახმისტრი. ყელზე რიგ-რიგად სამი დიდი ოქროს მედალი ჰკიდია გძელი უომრალი ჭაღარა წვერები აქვს, ჩავურაა. ეტყობა დიდი გაიძვერა უნდა იყოს. უფროსს ღიმილით წინ გამოეჭიმება)

ვახმისტრი. რას გვიბრძანებთ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ!

როტმისტრი. ვინ გითხრა ხმა ამოიღეო, ვიდრე მე თვით არ გამოგელაპარაკებოდი? შენი ამხანაგი ხომ არა გგონივარ? მოგკლავთ .. დაგარჩობთ... დაგხვრეტავთ... გესმის, თუ არა!

ვახმისტრი. მესმის... მესმის, თქვენო მაღალკეთილშობილებავ!

როტმისტრი. ოცდა ათი კაცი მუდამ მზად გყავდეს .. ფეხი არსად მოიცვალოთ. გესმის?

ვახმისტრი. მესმის, თქვენო მაღალ კეთილშობილებავ!

როტმისტრი. არ დაგავიწყდეს ჩემი ბრძანება, თორემ მოგკლავთ, დაგარჩობთ დაგხვრეტავთ! მარშ!

ვახმისტრი. (მოტრიალდება დან-გადის)

VIII

როტმისტრი (წვერებს ორივე ხელებით შეიბერტყს დაფიქრდება) ნნ... და! ესეც ასე! ეს საქმე მესამე დიდ ჯილდოს შემძენს და წელიწადში სი თუმანიც მომემატება. აი ყოჩაღ ბერგ! მალადჩინა ლეონ ბერგ!.. სულელი ხრაპი!... (სიამოვნებით ხითხითებს და ცბიერ თვალებს სჭუტავს)

ფარდა.

ია ეკალაძე.

(შემდეგი იქნება).

ქ თფილისში დაარსდა
მელნის ქარხანა
„ᲐᲚᲐᲠᲝᲓᲘᲐ"
ᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲡᲐᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲝ ᲛᲔᲚᲐᲜᲡ,
ᲐᲚᲘᲖᲐᲠᲘᲜᲘᲡ ᲤᲔᲠᲘᲡᲐᲡ
პირველხანად ქარხანა გაჰყიდის მელანს ორ-ორ გირვანქიან ბოთლებით. **ᲚᲐᲖᲐᲠᲔᲗᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲗ ᲨᲔᲚᲐᲕᲐᲗᲘᲗ ᲓᲐᲔᲗᲛᲝᲑᲐᲗ.**
მელანი ასლის გადასაღებადაც (კაპიროვკა) კარგია.
ᲓᲐᲙᲕᲔᲗᲐ ᲓᲐᲣᲧᲝᲕᲜᲔᲑᲚᲘᲕ ᲡᲠᲣᲚᲓᲔᲑᲐ ადგილობრივ თუ გაგზავნით.
ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: თფილისი, მოსკოვის ქუჩა, № 16, „ᲐᲚᲐᲠᲝᲓᲘᲐ".

ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲜᲘ ᲡᲣᲡᲣᲜᲐᲢᲘᲗ
დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამჟამათ გამოგონილია პროფეს. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა **ᲑᲚᲔᲜᲘᲝᲖᲝᲚᲘ** პროფესორ მორნისა.
ბლენიოზოლი შესდგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და საექიმო პრაქტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტკლიპისა, ჭაჭებისა და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **ᲑᲚᲔᲜᲘᲝᲖᲝᲚᲘ** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი; ბლენიოზოლი ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, დენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით ვალდებული არიან იხმარონ „**ᲑᲚᲔᲜᲘᲝᲖᲝᲚᲘ**", როგორც ერთადერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან გასათავისუფლებლთა. ამ საშუალებით მორჩენილ სნეულება მეორეთ აღარ განახლდება. კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში.
ᲑᲚᲔᲜᲘᲝᲖᲝᲚᲘ იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საექიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა" **Პ. ᲨᲐᲕᲔᲠᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲐᲤᲗᲘᲐᲥᲝ ᲛᲐᲚᲐᲖᲘᲐᲨᲘ.** გიმნაზიის ქუჩა, თეატრისპირდაპირ.
ფასი ერთი კოლოფის 3 მან. და 50 კ. სრული გათავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფ
ᲞᲝᲞᲣᲚᲘᲐᲠᲣᲚᲘ ᲑᲠᲝᲨᲣᲠᲐ ᲘᲒᲖᲐᲕᲜᲔᲑᲐ ᲣᲤᲐᲡᲝᲓ.
ბ. კოლეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის" ხმარების შემდეგ სრულებით გავთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. ყველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მომანიჭა სრული სისაღე სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც კი ვიხმარე წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდნენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს.
თქვენი ურდგულესი **ᲘᲐ Ნ. ᲙᲝᲚᲔᲒᲝᲕᲘ.**
ტროვსკისირ-დარახქ. პე ოლქი. 9 (წლიური)

მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა ალ. კოხრეიძისა

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან.